წელიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი მეომარი

ფასი 5000 მანეთი

გაზეთი გამოდის ყოველდღიურად მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე.
რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30.
პირველი სართული.

ხუთშაბათი 9 ნოემბერი 1922 წ.

№ 138

ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო

№ 139

კომინტერნის მეოთხე კონგრესის გამო.

მეორე ინტერნაციონალის მორალურად გაკოტრების შემდეგ, საერთაშორისო მუშათა კლასისთვის საჭირო იყო რევოლიუციონური შტაბი, რომელსაც გამომუშავებულ პროგრამით და ტაქტიკით უნდა წაეყვანა ის ბურჟუაზიის წინაამდეგ.

და აი კიდეც ვხედავთ ჩვენ, რომ 1919 წ. კაპიტალიზმზე გამარჯვებულმა რუსეთის რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა პეტროგრადში მოიწვია ყველა ქვეყნების მუშათა ინტერესების ჭეშმარიტად დამცველი პარტიების წარმომადგენელნი და ამნაირად დაარსა ახალი საერთაშორისო მუშათა შტაბი—მესამე კომინტერნი. მესამე კომინტერნის პირველი კონგრესის დროს ჯერ კიდევ სუსტი იყო კომუნისტური მოძრაობები ყველა ქვეყნებში; მაშასადამე კომინტერნის მთავარ ამოცანად უნდა გამხდარიყო საორგანიზაციო მუშაობის გაჩაღება კომპარტიების ჩამოსაყალიბებლათ სხვადასხვა ქვეყნებში და მართლაც თავის ენერგიული და ინტენსიური მუშაობით ამ სფეროში მან სულ დიდ შედეგს მიაღწია:

ევროპის თითქმის ყველა ქვეყნებში დაარსებულ იქმნა კომუნისტური პარტიები. 1920 წელს მოწვეული მეორე კონგრესი მხოლოდ და მხოლოდ მესამე კომინტერნში შესულ პარტიების მორალურ მხარეს ეხებოდა და თავის 21—მუხლიან წამოყენებულ პირობაში პირდაპირ მოითხოვდა მასში მონაწილე პარტიებისაგან გაეწყვიტათ ყოველ-გვარი კავშირი შეთანხმებელ ცრუ სოციალისტურ პარტიებთან და რევოლიუციის საწარმოებლად სავსებით გაეზიარებიათ მესამე კომინტერნის ტაქტიკა.

ამ შემთხვევაში ერთგვარი შიშიც იყო მოსალოდნელი, რომ ამ სასტიკი პირობების გამო მესამე კომინტერნს არ ჩამოშორებოდა უკვე მასში შესული ზოგი პარტიები და მუშათა იდეოლოგები, მაგრამ ეს მაინც საჭირო იყო, რომ ამით მომხდარიყო მუშათა მოძრაობების კრისტალიზაცია და ამნაირად მისი მსვლელობაც წასულიყო იმ გზით როგორითაც უკარნახებდა მას მოძღვრება მეცნიერული სოციალიზმისა.

კომინტერნის მესამე კონგრესმა მხოლოდ ერთი მთავარი ლოზუნგი წამოისროლა; ახლოს მასებთან, ჩვენ მხოლოდ მაშინ შევძლებთ გამარჯვების მიღწევას როცა ფართო მასებში დავტრიალდებით, მათში ვიმუშავებთ.

და მართლაც მთელი პერიოდი მესამე კონგრესიდან—მეოთხე კონგრესამდის კომინტერნის და მასში შემავალ პარტიების მუშაობა ამ ლოზუნგის ქვეშ ტარდებოდა, რომელიც იმავე დროს უწყობდა ხელს კაპიტალიზმის წინააღმდეგ ერთიანი მუშათა ფრონტის შექმნას, რომლის ჩაშლას ყოველ ნაბიჯზე ცდილობდნენ და ცდილობენ დღესაც ცრუ სოციალისტური ოპორტუნისტული პარტიები.

ამავე პერიოდში ევროპის გამძვინვარებული კაპიტალიზმი ყოველ დღე გადადიოდა მუშათა საწინააღმდეგო შეტევებზე და მათ, სამუშაო დროის გადიდებით, ხელფასის შემცირებით, და სხვა ათასგვარ რეპრესიებით სიცოცხლეს უმწარებდა.

ამ უკანასკნელ ხანებში ევროპის კაპიტალიზმმა, ფაშისტების სახით ხომ მთლად რეაქციონური სახე მიიღო, რის შედეგათაც ისა გვაქვს დღეს, რომ ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში ირბევა და ნადგურდება კომპარტიების კლუბები და ორგანიზაციები, სდევნიან მუშებს, ციხეებში აწყვდევენ მათ საუკეთესო ტრიბუნებს და სხვა (გაიხსენეთ ფაშისტური მოძრაობანი იტალიაში)

გარდა ამისა ხდება კიდევ მთელი რიგი ბოროტებისა დღევანდელ ევროპაში. ასეთია მაგ. ვერსალის ზავი და მის მიერ განადგურება გერმანიისა, რაიც ეგრე დამღუპველად მოქმედობს ევროპის ეკონომიურ მდგომარეობაზე და თან და თან აწვავებს და ართულებს მას, რომელიც ძალზე ტვირთად აწვება როგორც გერმანეთის, ისე ინგლისის საფრანგეთის მუშათა კლასებს.

მესამე კომინტერნის მეოთხე კონგრესი, რომელიც გაიხსნა ამ ორი დღის წინად მოსკოვში მხოლოდ და მხოლოდ ამ საკითხებზე იმუშავებს. და ჩვენც გვწამს, რომ ის გამონახავს ისეთ ზომებს, რომლითაც ლაგამს ამოსდებს დღეს შეტევაზე გამოსულ რეაქციას, ხოლო ინგლისისა და გერმანელების მუშების შეწყობით ევროპის ეკონომიკის დამღუპველ ვერსალის ზავს, გამოუტანენ ისეთ განაჩენს, რომელიც თვით ანტანტის კაპიტალისტებსაც კი დაარწმუნებს მის დამღუპველ მოქმედებაში.

არის კიდევ საკითხები აღმოსავლეთის ერების და კოლონიების შესახებ, რომლებიც კომინტერნის მიერ ისე ბრძნულად იქნება გადაჭრილი, როგორც სხვა დანარჩენები.

გაუმარჯოს მესამე კომინტერნის მეოთხე კონგრესს.

გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას.

წითელი პრესა

ამ ჟამად ევროპაში მძვინვარებს ფაშიზმის განსაკუთრებით ის დღეს იტალიის პოლიტიკური ცხოვრების ბატონ პატრონია, დღემდე თითქმის არც ერთმა სახელმწიფომ არ იცოდნენ ფაშიზმის შესახებ არაფერი. ის მოულოდნელი რამ არის ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში; და აი ამ მოულოდნელობამ დიდი ხმაურით დაიპყრო დიდი ადგილი და გაიქცა ყველა რეაქციონური ბანდების იდეალად. გაზ. „კომუნისტი“ ამის შესახებ სწერს:

„თავდაპირველად ფაშიზმი, როგორც პარტია წარმოადგენდა უმნიშვნელო პატარა ჯგუფებს; როდესაც იტალია გამარჯვებული გამოვიდა მსოფლიო ომიდან ამ ჯგუფებმა მოითხოვეს ნაციონალური და იმპერიალისტური პოლიტიკის წარმოება. ფაშისტების მთელი ძალა იმ თავითვე იყო მიმართული სოციალისტურ პარტიების და პროლეტარულ ორგანიზაციების წინააღმდეგ.

კარგა ხანს ფაშისტებმა ვერ გამოიწვიეს თანაგრძნობა იტალიის მცხოვრებთა შორის, იმ დროს როცა პროლეტარიატის რევოლიუციონური თვით შეგნება მტკიცეთ მიისწრაფოდა გამარჯვებისაკენ.

მაგრამ მუსოლინი და მისი მიმდევრები ისეთი წინდახედულნი აღმოჩნდნენ, რომ გაითვალისწინეს ყველა პირობები იტალიის პოლიტიკური ცხოვრებისა“

ამის შემდეგ ჩვენ ვხედავთ ფაშიზმის მოღონიერებას. ერთის მხრით უმუშევრობამ შეუწყო ხელი მეორე მხრით კი ხელოვნურად შეიქმნა ლუმპენ პროლეტარიების მიერ ნიადაგი“

ფაშიზმმა მიიმხრო საშუალო წოდების ელემენტების დიდი უმრავლესობა და სხვა და სხვა ჯურის ავანტიურისტები“

შემდეგ გაზ. სწერს:

„ფაშიზმის მნიშვნელობა ჯერ კიდევ გამოურკვეველია და სავსეა ყოველ გვარ მოულოდნელობით; საყურადღებოა მხოლოდ ის, რომ იტალიის ბურჟუაზიის ბეჭდითი ორგანო თავის მოწინავეში საჭიროდ სთვლის გააფრთხილოს იტალია ფაშიზმის ზრდისაგან.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

— რომის გაზ. „ტრიბუნის“ ცნობით, ფაშისტებმა ბრემნაში ცეცხლი წაუკიდეს შრომის ბირჟას.

— ანდრიიდან „მესაჯერო“ იუწყება, რომ ფაშისტებმა გაანადგურეს ყველა კომუნისტური და სოციალისტური კლუბები და საზოგადოებები და დაიკავეს ყველა საზოგადო შენობები. მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც დაიჭრა 3 კაცი ასეთივე ამბები დატრიალდა იტალიის სხვა ქალაქებშიც.

ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔ

— „ტანის“ ცნობით ქაირიდან ლოზანაში გაემგზავრა ეგვიპტის პოლიტიკურ პარტიების დელეგაცია კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის უფლების მიღების მიზნით.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

— ლონდონიდან იტყობინებიან, რომ 1426 წამოყენებულ კანდიდატებისაგან 441—კონსერვატორია, 414—მუშათა პარტიის, 366—ლიბერალების, 135—ნაციონალ-ლიბერალების, 13—ირლანდიელ ნაციონალისტების და 67 დამოუკიდებელი და სხვა პარტიების მომხრენი არიან.

ᲨᲕᲔᲪᲘᲐ

— შვეციის კომუნისტების ლიდერი თავის წერილში გაზ. „პოლიტიკენში“ მოუწოდებს შვეციის პროლეტარიატს, შვეციაში დაწყებულ ფაშისტურ მოძრაობის საწინააღმდეგოთ შექმნას თავდაცვის ერთიანი ფრონტი.

ᲨᲝᲠᲔᲣᲚ-ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ

გამოქვეყნებულია შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის კობოზიევის წერილი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ შორეულ აღმოსავლეთის მუშათა და გლეხთა მასები მოითხოვენ შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის გასაბჭოებას და საბჭოთა რუსეთისაგან ხელოვნური ჩამოშორების მოსპობას, წერილში აღნიშნულია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ზომები იაპონიისა და სხვების მიერ ბოროტმოქმედების აღმოსაფხვრელად, რომლებიც არ უწევენ ანგარიშს რუსეთის სუვერენიტეტს შორეულ აღმოსავლეთში.

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

— ლოზანის კონფერენცია გადაიდო 28 ნოემბრისათვის.

— შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის მუშებისა და გლეხების მასსები მოითხოვენ შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის გასაბჭოებას

— ფაშისტები იტალიაში გაცხარებით ებრძვიან კომუნისტურ სოციალისტურ და საზოგადოთ მუშათა ორგანიზაციებს.

— შრომის უნიტარულ რევოლიუციონური კონფერენცია პარიზში აწყობს 150 მასიურ მუშათა კრებებს, ერთიან პროლეტარულ ფრონტის შესახებ.

— სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურმა აღმასკომმა, დიდი პროლეტარული რევოლიუციის ხუთი წლის თავის შესრულების აღსანიშნავად გამოაცხადა ფართე ამინისტია.

ᲬᲘᲗᲔᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲨᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

— სრულიად რუსეთის აღმასკომის დადგენილებით ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავის აღსანიშნავად გამოცხადებულია ამნისტია.

— იაპონიის ახალმა ვიცე კონსულმა სოკალდამ ტარბონში ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მომავალი რუსეთ-იაპონიის კონფერენცია უნდა შესდგეს ან მოსკოვში ან ტოკიოში. დარწმუნებით შეიძლება თქმა, რომ რუსეთი და იაპონია შესძლებენ შეთანხმებას. უწინარეს ყოვლისა საჭიროა აზრთა გაცვლა გამოცვლა წარმომადგენლებთა შორის. იაპონია სიამოვნებით გაგზავნის წარმომადგენელს მოსკოვში.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲯᲐᲠᲨᲘ

1-ლ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ.

საღამო წარმოდგენა.

ა. წ. 27 ოქტომბერს დრამატიულ წრის ხელმძღვანელობით გამართულ იქმნა საღამო-წარმოდგენა. უკრავდა ლეგიონის სამხედრო ორკესტრი.

წარმოდგენილ იქმნა ახალი რეჟისორის ხელმძღვანელობით საფრანგეთის რევოლიუციის ცხოვრებიდან მარატი 1 მოქ. „წითელი გენერალი“, პიესა ოქტომბრის რევოლიუციის ცხოვრებიდან და „სოფლის ფერშალი“ 1 მოქ. დაესწრნენ როგორც წითელ-არმიელები უფშემადგენლობა ისე უცხო ხალხი. პიესებმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ხალხზედ. დადგმა და შესრულება წესიერათ ჩატარდა. და უსურვებთ ამხ. ქანთარიას, ენერგიულ მუშაობას. ბოლოს გაიმართა საერთო ცეკვა სადაც მონაწილეობას იღებდენ უმთავრესათ წითელ-არმიელები. ხალხი ნასიამოვნები დაიშალა.

კლუბის თანამშ. ვ. ქომახელი

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲘᲐ.

ამ ბოლო დროს საბიბლიოთეკო საქმის თავის დანიშნულებაზე დაყენებას ხელი შეუწყო კურს დამთავრებულმა კურსელებმა. რომლებმაც ნაწილებში გააჩაღეს მუშაობა და მისცეს წიგნსაცავ სამკითხველოს თავისი ნამდვილი მნიშვნელობა მაგრამ ნაწილებში იშვიათად შეხვდებით ისეთ წიგნსაცავ სამკითხველოს, როგორიც არის პოლიტიკურ კურსებზე, წიგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ების რიცხვით და ხარისხით, აგრეთვე ტექნიკური მოწყობილობით.

სიმართლე თხოულობს [illegible] აღინიშნოს ერთგული და მუყაითი მუშაობა ამხ. ალ. ბერტიანცი[illegible], რომელმაც თავისი დაუღალავი შრომით საბიბლიოთეკო საქმე თავის დანიშნულების სიმაღლეზე დააყენა. ვუძღვნით [illegible] ბერტიანცს ამხანაგურ სალამს [illegible] მუშაობისთვის.

დუბლიკატი

ვაშა, ვაშა,

არიან ისეთი საქმენი რომელთა კარგათ დაყენება-მოწყობა არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მაგალითად მიტინგ-კონცერტის გამართვა, ანდა უფრო მეტიც, სკოლის გახსნა. მე მოგახსენებთ საბიბლიოთეკო საქმეზე. ჩვენში საზოგადოთ ამ დარგში ძალიან დაბლა ვდგევართ და უნდა ითქვას სიმართლე, რომ მთელ საქართველოში იშვიათად თუ სადმე აპოვნით, მართლაც ხეირიანათ მოწყობილ ბიბლიოთეკას.

ამ მხრივ, პირდაპირ სამაგალითოთაა წით.-არმ. ცენტრ. კლუბთან არსებული ბიბლიოთეკა-სამკითხველო. თქვენ პირველი შესვლისთანავე იგრძნობთ რომ ამ საქმეზე უმუშავნია კარგათ გამოცდილ და ენერგიულ ხელს.

ალბათ ბევრი დაბრკოლებები იქნებოდნენ გადასალახავი, რომ ასე კარგათ დაგვიერგვინებიათ, მაგრამ საქმის სიყვარული ყველაფერს გააკეთებს.

ჩვენ ურჩევთ, ჩვენ ჯარში სამკითხველოების გამგეებს (და აგრეთვე) ცალკე კავკ. არმიის საბიბლიოთ. საქ. [illegible] ზემოთ დასახელებულ ბიბლიოთეკაში და გაეცნონ ბიბლიოთეკის მოწყობის სისტემას.

დასასრულ, არ შემიძლია ერთი გარემოება არ აღვნიშნო; ეს ბიბლიოთეკა არსებობს უმთავრესათ, ქართველი წითელ არმიელებისათვის, რომლებმაც უცხო ენა მეტად ცუდათ იციან. ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ძველს და თანამედროვე ქართული გამოცემების შეძენის საქმეს.

მ—რო.

კრება სამხედ. სკოლაში

ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლაში 31 ოქტომბერს საღამოს 6 საათ. შესდგა კრება, რომელსაც დაესწრენ: 1) სკოლის უფროსი ამხ. ტალახაძე 2) სამხკომი ამხ. ძნელაძე, მდივანი ამხ. ჰოლოკავა და კურსანტთა უმრავლესობა. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე 2) საინფორმაციო მოხსენება ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავის დღესასწაულისთვის მომზადების შესახებ, 3) საკონტროლო ინსპექციის მოხსენება 4) მოხ. კოოპერატივის შესახებ და, 5) პურის დარიგების შესახებ.

საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენება გააკეთა სკოლის უფროსმა ამხ. ტალახაძემ მან ვრცლად დაახასიათა დასავლეთ იმპერიალისტების გაუმაძღარი პოლიტიკის წარმოება ომამდის და ომის შემდეგ. აგრეთვე შეეხო ლოიდ-ჯორჯის გადადგომის მნიშვნელობას დასავლეთ იმპერიალისტებისათვის რომლებიც შეკავშირდნენ მუშათა კლასის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

შეეხო აგრეთვე ფაშიზმის გაძლიერებას დასავლეთ ევროპაში, რომლებიც ბატონ პატრონნი გახდნენ ზოგიერთ ადგილებში.

კრება ისმენდა მოხსენებას დიდი ყურადღებით რამაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

ინფორმაციული ხასიათის მოხსენება გააკეთა სამხკომმა ამხ. ძნელაძემ, ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავის შეხვედრის შესახებ, რომელმაც გამომუშავებული გეგმა გააშუქა თუ როგორ უნდა მოვიქცეთ და რა უნდა მოვაწყოთ დიდი პროლეტარულ რევოლიუციის დღისათვის.

კოოპერატივის არსებობის შესახებ კრებამ იმსჯელა და დაადგინა: დაევალოს ძველ გამგეობას უმოს ლიკვიდაცია, ვინაიდან არ წარმოადგენს საჭიროებას სკოლისათვის, როცა ვაჭრობა არა აქვს.

პურის დარიგების შესახებ კრებამ იმსჯელა და იქმნა მიღებული რეზოლიუცია ერთხმად შემდეგნაირად: დღეში სამჯერ საუზმეზე, სადილზე და ვახშამზე—მაგიდაზე იქმნეს დაწყობილი ხვედრი პური, აგრეთვე ჩაი ყოველ დღიურად ხვედრი შაქარიდან.

საკონტროლო ინსპექციის მუშაობიდან მოხსენება გააკეთა თავმჯდომარემ, რომელმაც დეტალურად ყველასფერი აღნიშნა თავიანთი მუშაობიდან დღიდან მათი არჩევისა.

მიმდინარე საკითხი აღარ აღმოჩნდა, რის შემდეგ კრება დაიხურა.

ვალერიანი.

პარტ-წმენდის შესახებ.

ჩვენ ვწმენდთ პარტიას „შკურნიკების“ ნაციონალისტების, კარიერისტების და ყველა მათგან ვინც კი შემომძვრალა პარტიაში თავის პირად ინტერესების გასაუმჯობესებლათ, მაგრამ აგრეთვე უნდა გაიწმინდოს წითელი ჯარი დაწყებული ჯარისკაციდან უმაღლეს უფშემადგენლობამდე. საქმე რაშია; მე ვიტყვი და ამას საქმითაც დავამტკიცებ, რომ ჩვენს წითელს ჯარში ურევია იმისთანა ელემენტები, რომლებიც ფიქრობენ მხოლოდ ძარცვა-გლეჯაზე, პარტიის თამაშზე, სარდაფებში ქეიფობას და სხვა ამისთანა მარგალიტებზე. ვინ არიან ესენი? რასაკვირველია არა მშრომელი ღარიბი გლეხების შვილები, ან ქალაქის მუშები არამედ, ფუფუნებაში აღზრდილი მედუქნეების აზნაურების და კულაკების შვილები.

საჭიროა ამისთანა „წითელ“ არმიელები განცალკევდნენ ყაზარმიდან, თორემ, ნათქვამია: ერთი ბინძური ლორი ათას გასვრისო“ ამ შემთხვევაში პარტ-წმენდას დიდი შედეგების მოტანა შეუძლია. ჩვენც უცდით.

გან-ტანი.

1-ლი ქართული „ც. ა. პ“-ის ლეგიონი.

დაკმაყოფილებულნი ვართ მაგრამ ფრთხილად ბოროტმოქმედებაში.

1-ლ ლეგიონში წითელ არმიელთა მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდება, თვითეულმა წ. არმიელმა მიიღო მთელი კომპლექტი ტანსაცმლისა, და ფეხსაცმელი, რომლებიც სულ ახალ ახალია, აგრეთვე იღებს მომატებული პური, რომელიც ურიგდებათ დღეში ორგირვანქა ნახევარი რითაც წ. არ. გამოსთქვამენ სრულ კმაყოფილებას. გამიგონია როცა წ. არმ. გაიძახის „ეხლა კიდევ, რომ ვინე გაიქცეს და იდეზერტიროს ის ნამდვილად ადგილობრივვე იქნება დასახვრეტი. ასე, რომ დეზერტირობა თითქმის თლათ მოისპო, მაგრამ თუ კიდევ ხდება რაიმე ბოროტმოქმედება ამხანაგებო წითელ-არმიელებო, თქვენ როგორც სიმართლეზედ თავდადებული და მუშურ-გლეხური მთავრობის დამცველი მოგიწოდებთ, ყოველივე ეცნობოთ ხოლმე სადაც ჯერ არს და თქვენკი, ვინც ბოროტმოქმედობთ! გაფრთხილდით, ემსახურეთ სიმართლეს, დაანებეთ თავი ბოროტებას თორემ ჩავარდებით ისეთ ორმოში რომლიდანაც ამოსვლა ძნელი იქნება.

წ.-არმ. ავაქოვი.

წერეთ სიმართლე

გაზ. „წითელ არმიელი“-ს № 117 მოთავსებული იყო წერილი სათაურით: „მიმართვა ამხანაგებისადმი“ წერილს ხელს აწერს ყოფილი კურსანტი პოლიტ-კურსების ამხ. ბურდილაძე.

ამხ. ბურდილაძე შეუგნებლად შვინებს და შეურაცხყოფს ჩვენს ამხ. კურსანტებს, რომლებმაც დაამთავრეს პოლიტ-კურსები და ეწევიან ჩვენს ჯარში ენერგიულ მუშაობას. ჯერ ერთი უნდა განვაცხადო ამხ. ბურდილაძის საყურადღებოთ, რომ წერილებს, რომლებსაც სწერენ ამხანაგები ზოგნი მათგანი ფსევდონიმს ხმარობს და ამხ. ბურდილაძეს არ შეეძლო სტატისტიკა ეწარმოებინა. მეორეც ის, რომ რატომ არ შეიძლება, ამხანაგები ძლიერ კარგა მუშაობდნენ ადგილობრივ და წერილს ვერ წერდნენ. მესამეც ის, რომ ადგილობრივ ქართულ გაზეთების მიერ (ქუთაისში და ბათუმში) დათმობილი აქვთ წითელ ლაშქრელებს გაზეთის ნაწილი.

ჩვენმა ამხანაგებმა სისხლიც ბევრი დაღვარეს გამოშვების შემდეგ. მაგალ. მოვიყვანოთ ამხ. კაჭარავას, რომელსაც ფეხი მოსტეხეს.

საერთოდ ამხ. ბურდილაძეს ურჩევდით სიმართლით აეწერა ის რაც ხდება.

ზოგი ამხანაგების მინდობილობით.
ბატარეის სამხკომი: კაკაურიძე.

პარტიული ცხოვრება

მეორე ლეგიონში

10 ოქტომბერს შესდგა პირველი ათასეულის გუნდის პოლიტხელმძღვანელთა და კომუჯრედების მდივანთა შეერთებული—საერთო კრება.

თავმჯდომარეთ არჩეული იქმნა ამხ. ბახტაძე, მდივნად ამხ. ჯავა.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხი: კორესპონდენტების არჩევნები.

მოხსენებას აკეთებს ამხ. ბახტაძე, რომელიც კრებას აცნობს კორესპონდენტების მნიშვნელობას. ამხ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საჭიროა ყოველ გუნდში ვიყოლიოთ პასუხისმგებელნი კორესპონდენტები, რომელნიც სისტემატიურად მიაწოდებენ გაზეთ „წითელ არმიელს“ წერილებს წითელი ჯარის ცხოვრებიდან.

კრებამ დაავალა ყველა ასეულების პოლიტხელმძღვანელებს, თავიანთ ასეულებში აირჩიონ პასუხისმგებელი სამხკორები.

აგრეთვე, სამხკორები იქნებიან ათასეულში და ლეგიონშიაც.

ყარაჩოღელი.

კოოპერაცია.

კოოპერაციის შესახებ

(მოხსენ. საინჟინერო ათასეულის კომუჯრედის მორიგ ღია კრებაზე ე. გოგოლაძის მიერ გაკეთებული.)

მე არ შევჩერდები სხვა პერიოდების დახასიათებაზე ყველა რუსეთის კოოპერაციისა.

ვიტყვი კი მოკლეთ, რომ უწყებულ პირველ პერიოდში მიეცა დასაწყისი ქარხნების და რკინის გზის მუშების სამომხმარებლო კოოპერატივების დაარსებასაც. და იმ დროს, როდესაც ამ პერიოდში დაარსებული სამოქალაქო კოოპერატივები ვერ სძლებდნენ, მუშათა კოოპერატივები უფრო და უფრო ვითარდებოდნენ. პირველი მუშური კოოპერაცია დაარსდა 1867 წ. კინოვის ქარხანასთან ურალში. იქ მუშები შეერთდნენ ჩაის გამოსაწერათ და შემდეგ გახსნეს საზოგადო დუქანი. მისი წესდება დამტკიცებული იქნა 1870 წლის 11 სეკტემბერს. რუსეთის სხვა კუთხეებში, კოოპერატიული მოძრაობა მოედო ბალტიის მხარეს. 1855 წ. კოოპერაცია დაარსდა ქალაქ რიგაში. შემდეგ იმ ადგილებში, სადაც გერმანელები ცხოვრობდნენ რუსთა შორის. ასეთი საზოგადოება პირველათ დაარსდა ხარკოვში 1866 წ.

უფრო ძლიერი პერიოდი კოოპერაციისათვის იწყება 1906 წლიდან; მას შემდეგ როდესაც მშრომელმა ხალხმა შესცვალა თავისი დამოკიდებულება ყოფილ იმპერიასთან რევოლიუციის საშუალებით.

ახლა მოკლეთ გავეცნოთ კოოპერაციის საქართველოში. აქაც, ამხანაგებო, როგორც სხვაგან, კოოპერაციის წარმოშობას იგივე სოციალურ—ეკონომიური მიზეზები იწვევს. მხოლოდ აქ განსხვავება იმაშია, რომ საქართველოში კოოპერაცია დაარსდა პირველად სოფელში. სხვაგან კი, როგორც ჩვენ დავინახეთ, იგი აღმოცენდა ქალაქებში. ამ მოვლენას თავისი მიზეზები აქვს და აი რაში. საქართველოში წინეთ ქალაქის წარმოება ნაკლებათ იყო განვითარებული და ამიტომ აქ ქალაქის მუშა სუსტი იყო როგორც რიცხვით ისე ორგანიზაციულადაც. გარდა ამისა, წინეთ დამოკიდებულება მექარხნეებთან უფრო პატრიარქალური და შინაურული იყო და ამიტომ ინტერესების სხვა და სხვაობამ გვიან იჩინა თავი. სულ სხვა გვარ მოვლენას ქონდა ადგილი სოფლად, გლეხებში. საქართველო საერთოდ ცნობილია როგორც სოფლის მეურნეობის მაღალი კულტურის მქონე. მიწის კულტურა (დამუშავება) ძალიან ინტენსიური იყო: აქ მოდის თამბაქო, გაშენებულია დიდი ვენახები და ხილის ბაღები, მშვენიერი ბოსტნები და სხვა. ასეთ მდგომარეობაში, როდესაც სოფლის მუშას (გლეხს) მიწის სამუშავარი ყოფნის, რა საკვირველია ის სამომხმარებლო კოოპერაციაზე ნაკლებათ ზრუნავს.

გლეხს ამისთანა პირობებში უფრო ესაჭიროებოდა ფული, ქალაქის ნაწარმოების სხვა და სხვა საგნების შესაძენათ და ამიტომაც აქ პირველად (1867 წელს) საკრედიტო, შემნახველ-გამსესხებელი კოოპერაცია (ამხანაგობა) დაარსდა. ეს იყო წვრილი კრედიტის (სესხის) ბანკები, რომელთა ძირითადი თანხა იგივე გლეხების მიერ მათ შორის მოგროვილ ფულებისაგან შესდგებოდა.

(შემდეგი იქნება)

წითელი აჩრდილი.

წითელი საფრთხე დადის
ალმოდებულ მახვილით
ძველი ქვეყნები თრთიან
იმის ამაყ ძახილით.

წითელ ოქტომბრის შიშით
ბურჟუები ჰკივიან
მშრომელნი—კი სიამით
ამ ამბებით ღვივიან.

წითელ ლაშქრის შეტევით
მსოფლიო ყულფზე დგება:
რადგან ხედავს კომუნიზმს
მძლე გვირგვინი ადგება.

ჩვენი ნორჩი ლაშქარიც
პირველ რიგში მიილტვის
გამარჯვების დაფნებით
ისიც ჩქარა მოირთვის.

დაშნა.

ნება დართულია სამხედრო ცენზორისაგან.
პასუხის-მგებელი რედაქტორი ა. ქუთათელაძე.